

რედაქცია

გალაგების პრინციპები... გელის-მოწერა... მისთვის... 9 მან. ... 5 მან. ... 1 მან.

დროება

პასი განსახლებების... დროება... 1 კვადრატული... 1 კვადრატული... 1 კვადრატული...

გამოცემის უკველ-დღე ორშაბათს გარდა

ამა 1882 წელს უკველ-დღეური გაზეთი „დროება“

გამოცემის იმავე პრინციპებით და რიგით და ამავე თანამშრომლებს დახმარებით, რედაქცია აქამდინ გამოდიოდა.

ხელის-მოწერა მიიღება:

თფილისში: „დროების“ რედაქციის კანტონში, გალაგების პრინციპები, თ. ივ. კ. მუსხანსკის სახლებში, კლუბის ქვემოთ. ქალაქს გარეშე მისწავრებათ ამ ადრესით უნდა მოითხოვდნ გაზეთი ВЪ Тифлисъ, ВЪ редакцію газ. „Дროება“.

ფასი ხელის-მოწერისა:

ერთის წლით: 9 მან. სამის თვით 3 ,, ნახევარის წლით 5 ,, ერთის თვით 1 ,, სხვა ვადით ხელის-მოწერა არ შეიძლება. ხუდარი ფული ხელის-მოწერას გაზეთის დასაწყისთანავე უნდა გამოგზავნოს რედაქციაში. ვითხოვთ აგრეთვე, რომ თავის სახელი და გვარი და საცხოვრებელი ადგილი გარკვევით დასწეროს.

რედაქციური სერ. მესხი. გამომცემელი სტ. მელიქიშვილი.

სახაფხულა თეატრში დღეს, 20 იანვარს მართული დრამატული დასის არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება: იმპერატორის ალექსანდრე II-ს სახელობით თავ-შესაფარ სახლის სასაგებლოდ, პრევილად

საუბლო

დრამა 5 მოქმედებად და 7 სურათად, ფრანკო-რუსული დამოკიდებულები თ. ლ. ზ. მისთვისაგან. ახალი დეკორაცია: მეტეხის ციხე და ისტორიული ჩაცმულობა. ბილეთები ისყიდება თეატრის კასანში. დასაწყისი 7 1/2 საათზე

ტელეგრაფი

პარიში, 18 იანვარს. ლეონ სეს და თანხმებით ახალ სამინისტროს შეადგენენ: მინისტრი-პრეზიდენტი და უცხო ქვეყნის საქმეთა მინისტრი—ფრანსუა, ფინანსის—ლეონ სეს, განათლების—ფერნან, შინაგან საქმეთა—გობლე, იუსტიციის—გუმბერ, სამხედრო—ბალო, ზღვის—ჟორჟ-გებერი, მეურნეობის—გარუა და ფინანსის—ჟორჟი. სხვა ეს სამინისტრო გამოეცხადება ზალაცას და თავის ახალ პრეზიდენტსაგან წარადგენს. კამბრეზის ბირჟა, 18 იანვარს. ბანკის ბილეთები: 2 მან. კაპ. პირველი გამოცემისა— 94—87 მეორესი — — — — 91—50 მესამესი — — — — 92— მეოთხესი — — — — 91—50

Table with 2 columns: Item description and Price. Includes items like 'აღმოსავლეთის პირე', 'აღმოსავლეთის მეორე', 'აღმოსავლეთის მესამე', 'პირველი სესხის', 'მეორე სესხის', 'ლონდონი', 'ზამბურლი', 'პარიჟი'.

აბა, რა მან მღვდლები?

ამ უკანასკნელ დროში სწორედ შესაბრალების სურათს წარმოადგენს ჩვენი სამღვდლოების მდგომარეობა: თითქმის იერიშით მიდის მხედ ყველა. უფროდესმა სინოდმა ამ მოკლეს დროში ჩამოართვა მას ორი უმთავრესი უფლება. საზოგადოებას თითქმის თან-და-თან გული უგრილდება მასზედ. ადგილობრივი გაზეთები ბეჭდენ და სახალხოდ ჰყვენ მათ მოქმედებას. ათას მეცლობილებას, ათას ბრალსა სდებენ მათ.

ჩვენი სასულიერო წოდების მდგომარეობა ამ ყამად, მისი გავლენისა და პატივის შემცირება ხალხში საკმაო საგანდ მიგვიჩნია, რომ კაცი დაფიქრდეს მხედ, დაწყნარებულის თვლით შეხედოს და სწორის საზომით გაზომოს იგი.

რისგან წარმოსდგა ის გარემოება რომ ჩვენ ელარ ვენდეთ თანამედროვე ხალხში იმ მტკიცე თანაგრძობას, პატივისცემასა და სიყვარულის თავის მოძღვრისადმი, რომელიც ჰქონდათ ჩვენთა წინა პართა? რისგან მოხდა, რომ ჩვენ აღარა გვეყავს ისეთი გულ-შემატკივარი და უნაგროდ აღმასრულებელი თვისი წმინდა მოვადევი?

ლომბოსა სულიერი მამები, როგორც გვეუბრებიან დევიდ? მათი უმთავრესი მიზეზი ამისა არის ის გარემოება, რომ ჩვენი თანამედროვე სულიერი მამები, სხვა-და-სხვა გარემოებათა წყალობით, ხშირად შედიან ვაჭრის რაღმა და წმინდა საიდუმლოები და სხვა მღვდელ-მოქმედება გაუხდათ ს. ვაჭრო საგანად. ეს ვაჭრობა, რასაკვირველია, გულს უტეხს, რწმუნებას უკარგავს, პატივისცემის ვრძობას უმცირებს ერს თავის სულიერ მამისადმი.

არაერთ გზის წაგვიტოხავს ჩვენს მწერლობაში სხვა-და-სხვა ჩვენი ქვეყნის კუთხეებიდან ამ საგანზედ კორესპონდენტები რომელშიაც იყვენ აღწერილი სამწუხარო სურათები მღვდლების მოქმედებისა: ერთი ჩიოდა, მღვდელმა საწყალ ღარიბ გლეხს ამდენი ანეთი გარდაახდევინა ჯვარის საწერიო; სანამ, რაც სთქვა, ის არ მისცეს, მანამ ეკლესიის კარი არ გააღო, არ აღოსა გვირგვინის კურთხევა; მეორე ამბობს, ამა და ამ სულიერმა მამამ როდესაც ეკლესიაზედ ჯვარ-დასაწერი სიძე და სასძლო შეიყვანეს და ფასზედაც როგორც იქნა შეურთდენენო, მუშტი კრივი გამართა ხალხში, სიძის თუ სასძლოს ნათესავს სულის საქმე მართებს ჩემიო და თუ ისიც ახლა არ მომეცით, ისე არ დავსწერ ჯვარსო; მესამე კიდევ გვეუბნება, მღვდელმა თავის მრევლის ამა და-ამ-კაცს მრცვალეობული არ გაუსვენა ეკლესიაზედ, სანამ თავის გულის შესაჯერებელი ფასი არ მიიღოვო და სხვ. და სხვ.

შველა ამ მაგალითების ნახვისა და გაგონების შემდეგ რასაკვირველია საძებნელად არ გავიხდება ის მიზეზები, რომლის გამოთაც მღვდელსა და მრევლს შუა ველარ ვენდეთ იმ მამა-შვილურ მტკიცე უნაგრო დამოკიდებულებას, რომელიც სუფევდა წინა დროებში. სასულიერო წესების ვაჭრობა იწვევს რასაკვირველია მრევლის მიერ თავის მღვდელზედ მძულვარებას, მაგრამ ამაში მატრო მღვდლებიც არ არიან დამნაშავე. მართლმსაჯულება მოითხოვს, რომ არც ის მიზეზები დავსტოვოთ უყურადღებოდ და განუხილველად, რომელიც იწვევს სამღვდლოების შემო-აღწერილს მოქმედებას; შევსცდებით, თუ ყველა ზემოხსენებულ მოქმედებას მღვდლები-სას მიგვწერთ მართო მრევლის უსიყვარულობას, შეუბრალებლობას, მათ ზნეობით და გონებით სიმდაბლეს. ეს რომ ასე იყოს, მაშინ ხომ ჩვენ გონება გახსნილს და ნაწაწა მღვდლებში მაინც არ უნდა ვხედავდეთ ამ გვარსავე სურათსა. არა, უფრო სწორად

ჩი მიზეზი ამისა, ჩვენის აზრით, სულ სხვაა.

შპირველეს მიზეზად მიგვიჩნია თვით შტატის განუსაზღვრელი დებულება. შტატის დებულებაში განსაზღვრული ვად-ჭრილი არ არის—თუ ყოველი მღვდელ-მოქმედების აღსრულების სამაგიერო ჯილდოდ რა უნდა მისცეს მრევლმა თავის მღვდელს. მღვდელი ლეუკა პურის მოპოებას, ცხოვრების ღონის ძიებას, თავის და თავის წერილ ცოლ-შვილის გამოზრდას მხოლოდ იმ გვარი ვაჭრული მოქმედებით მოიგლის. იმას არა აქვს განსაზღვრული საშუალება ცხოვრებისა. ის მკვიდრად არის გადაბმული თავის მრევლთან ისეთი ანგარიშებით, რომლისგანაც წარმოსდგება მღვდელსა და მის მრევლ შორის ვაჭრობა და რა უნდა ჰქნას, თუ არ ივაჭრო?

ის მკვირე დრამა (კომლზედ ორი მანეთი) საკმაო არ არის, რომ მოისპოს ამით შორის ვაჭრული ანგარიშები, რადგან უფრო უმთავრესი საგნები განუსაზღვრელი რჩება კიდევ, მაგალითად: ჯვარის წერა, მიცვალებულის დასაფლავება, მისი სულის სამსახური და სხვა; მღვდელი მიშვებულია ამ შემთხვევაში თავის სურვილზე, სცილობს მეტი აილოს,—და იმართება ვაჭრობა, ვაჭრობა, რომელიც წინააღმდეგია სარწმუნოებისა და ამცირებს მისს არსებით დანიშნულებას.

შველაზე უმთავრესი მიზეზი მღვდლების პატივისცემისა და სიყვარულის შემცირებისა მრევლში არის მიცვალებულზედ ვაჭრობა. არა ერთ გზის გვიჩვენებს ჩვენის თვლით და მოგვისმენია, რომ, როდესაც სოფელში ორი სამი პირი ვარდაცვალებულია, ხალხი ამბობდა:—მშველა ჩვენს მღვდელს! აუსრულდა საწადელი გაულიმა ბედ-მაო!

ხალხი დარწმუნებულია, რომ კაცის ვარდაცვალება შეადგენს ერთ უსასიამოვნეს მოვლენას მღვდლისთვის; მიცვალებულის პატრონი დარწმუნებულია, რომ მღვდელი იმ აზრით და წმინდა თანაგრძობით კარ მიდის მის ოჯახში, რომ ანუგეშოს თვისი სული ეს მოწაფენი და აღუსრულოს სამღვრთო წესი მიცვალებულის, მცეს უკანასკნელი პატივი, არამედ იმ აზრით, რომ ასწონოს მიცვალებული და აილოს შესაფერი სასყიდელი.

ამ გვარი რწმუნების შემდეგ, რალათქმა უნდა, ერს ლტოლვილება და სიყვარული აღარ ექნება თავის მღვდლისა. თუ გვიჩნდა, მღვდელს ხალხში შესა-

ფერი ადგილი ექნეს, ისე უნდა მოვაწყოთ საქმე, რომ ვაჭრული ანგარიშები აღარ იქნეს, უნდა მივსცეთ მღვდლებს იმდენი საშვალეობა ცხოვრებისა, რომ უამისოდ შეძლოს ლუკმა-პურის ჭამა; უნდა განვსაზღვროთ ყოველი მღვდელ-მოქმედების სამაგიერო ჯილდა; რა უნდა იხადოს მრევლმა წლიურად და ეს გარდასახალი იქნეს მოკრებილი ადგილობრივ ადმინისტრაციის საშვალეობით, ან ბლალაჩინებისა, და არა თვითონ მღვდლებისაგან და როდესაც ისე წავა საქმე, რომ მღვდელს აღარ ექნება ნება რომელიმე შემთხვევით ისარგებლოს და მივიღეს მათხოვრად თავის მრევლთან, მაშინ დავინახეთ, რომ მღვდელიც ერთგულია, მაშა-შვილურის გძრობით მოვეყრობა თავის მრევლს და მრევლიცა შესაფერის პატივით და მოწიწებით მიიღებს თავის სულიერ მამასა. **თორემ**, უამისოდ, რამდენიც უნდა ვიბაასოთ და კვიცხოთ მღვდლები, არა გამოვა-რა.

ქახსარო გელაჯანი.

შალაქის რჩევის სხდომა

18 იანვარს.

რადგან შალაქის ოთხი ცალკე წერილით თხოვდა ხმოვანებსა, რომ საჭირო და დაუყოვნებელი საქმეები გვაქვს განსახილველი და გთხოვთ უეჭველად მოვრძანდეთო, ამის გამო ამ საღამოს ჩვეულებრივზე მომეტებული ხმოვანები მოგროვდნენ. პირველი საგანი, რომელიც შალაქის ოთხმა აცნობა კრებას იყო პასუხი ბაქსის მთავარ-მმართველის თანამდებობის დროებით აღმასრულებელისა შალაქის რჩევის დეპუტაციის თხოვნაზე, რომ აღრესის სტოლის შემოღება დროებით შეეჩერებინა ადმინისტრაციას. **მ.** მელიქოვმა ვერ შეიწყნარა ჩვენი შუამდგომლობა და თხოვნაო, სთქვა შალაქის ოთხმა. მტყობოდა, რომ ხმოვანებზე ამ უარისთქვამ, ცოტა არ იყოს, ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა...

ბევრი ლაპარაკი იყო ქალაქის სახლის (საცა ახლა პოლიციმენისტერი დგას და ცეცხლის საქრობი კამანდა) გადაკეთებაზე. ხმოვანების აზრი იყო, რომ შუა ნაწილი ამ შენობისა და უნგრეველად დარჩეს, რადგან, როგორც არხიტექტორებმა დაამტკიცეს, მაგარი კედლები არისო; გარშემო კედლები კი დაინგრეს და ახლად აშენდესო; ქალაქისათვის ამ ქამად სულ ორი სართული უკმარაო, მაგრამ თუ რჩევა იხებებს, შეიძლება მესამე სართულიც დაემატოს და ამისათვის 14,000 მან. მომეტებული ხერჯი დაგჭირდებაო.

ხმოვანმა **დ. გ.** კლიმინსკოვმა სთქვა, რომ ამ გვარ საქალაქო საქმეში არჩება ხელს არ მოგვეცემსო; რამდენიმე დღე მოვითმინოთ, არხიტექტორები მოვიხმოთ, მოველაპარაკოთ, დაწერილებით შევიტყუთ—თუ როგორ სჯობს გადაკეთება ან სულ დანგრევა ხელ-ახლად აშენებაო, და მერე შეუდგეთ საქმესაო.

ხმოვ. სტატკოვსკის აზრით, უმი-სოთაც დიდი ხანია სჯა და ლაპარაკი აქვს რჩევას ამ სახლის შესახებ და ახლა დაგვიანება და მოცდა კიდევ საჭირო არ არის, არხიტექტორებმა თავის აზრი წარმოსთქვეს და ახლს ველარაფერს შეეიტყუათ იმათგან. ამას გარდა, რაც შეეხება მესამე სართულის დაშენებას, თუ კედლები გაუძღვლებს, იმას კი არ უნდა შეეხედოთ, დღეს გვეჭირება თუ არა, დღეს თუ არა, შეიძლება ხვალ დასჭირდეს ქალაქს მომეტებული სადგომები და ამის გამო ცოტა მომეტებულ ხარჯს ნუ შეუშინდებით, ეს მესამე სართულიც დაეშენოთ.

ხმოვ. **თ.** ხოჯამინსკოვი წინაღობდა იმ აზრისა, რომ მესამე სართულიც მოაშენონო.

შალაქის არხიტექტორი **ბ.** ანტონოვი ამბობს, სულ რა დანერგეს ეს შენობა და ახალი შენობა აავოს ქალაქმა სამი ან ოთხი ათასი თუმანი მომეტებული დაეხარჯებო. ძველი კედლები იმდენად სქელია და მაგარი, რომ მესამე სართულის დადგმა მოხერხდებაო.

ბოლოს რჩევამ ხმის უმეტესობით გარდაწყვიტა: ქალაქის სახლი გადაკეთდეს, მესამე სართული მოაშენდეს და გამგეობამ რჩევას აცნობოს დასამტკიცებელად, როდესაც საზოგადო ვაჭრობით ამ იჯარის მსურველი გამოჩნდება ვინმე და თავის პირობას წარმოადგენს.

რჩევამ გარდაწყვიტა აგრეთვე პრიკაზში დაგირავებულის ტერ-ლუკასოვის მამულის ყიდვა (კონსულის ქუჩაზე), რომლის შეძენაც ქალაქს 46,000 მან. დაუჯდება. ეს ადგილი და შენობა ცეცხლის მქრობ კამანდისათვის იქნება დანიშნული, რომლისთვისაც ახლა 4,000 მანეთზე ნაკლებ არაფერ იძლევა ქირით შესაფერ სადგომსაო. ამ 46,000 მანეთს გარდა ქალაქს, ხამგეობის ანგარიშით, დაეხარჯება კადე 15,000 მან. ახალ საჯინბოების და შენობების ასაშენებლად ამ სახლის დიდს ეზოში, რომელიც 720 ოთხ-კუთხ საყენ მიწას შეიცავსო. რჩევამ მხოლოდ იმ პირობით გადაწყვიტა ამ მამულის ყიდვა, თუ პრიკაზი დარჩენილ ვალის სარგებელს და ვალის შესავსებელს, 9%-ის მაგიერად, 6% გარდაახდევინებს ქალაქს და ჯარიმას აპატიებს.

მაგრამ ყველაზე უფრო ბევრი და გაცხარებული ლაპარაკი სიონის ქუჩის გაფართოებაზედ ჩამოვირდა. ხამგეობის წინადადებით, შალაქის რჩევამ უნდა სთხოვოს მმართველობას, რომ ყველა იმ ადგილების მებატონეები, რომლებს ადგილის ჩამოჭრან სულ აღება საჭირო იქნება სიონის ქუჩის გასაგანიერებლად, ვალდებული გახადონ, რომ, დამფასებელ კამისის დაფასებით, თავის ადგილები მიჰყიდონ ქალაქს. სიონის ქუჩის გაფართოება სიონის სამრეკლოს ზემო-დამ უნდა დაიწყოსო, ხარაზ-ხანაზე, და ამისათვის, **მ.** ამაშვილისა და **მ.** ნ. ნოვის ადგილს გარდა, ქალაქმა 400 ოთხ-კუთხი საყენი ადგილი უნდა შე-

ისყიდოსო, რომლის ერთ წილი თვით ქუჩის გასაგანიერებლად დასჭირდება და მეორეს კი უფრო იაფად იყიდოს და შემდეგ, როცა ქუჩა გაივლის და ფასი მოემატება აქაურ ადგილებს, მაშინ უფრო ძვირად გაიყიდება და ამანარად ქალაქი ამ საგნისთვის თავის ხაზინიდან არაფერს დახარჯავსო. ხამგეობას მოეხმო ყველა ის მეპატრონეები, რომლის ადგილებიც უნდა შეისყიდოს ქალაქმა და დაჭიბება—თუ როგორ გაჰყიდონ ოთხ-კუთხ საყენს. მათს მებატონეს, რომელსაც ერთ-ნახევარი საყენი მიწა აქვს, 1500 მან. დაუფასებია თავის ადგილი; მეორეს თავის ორი ოთხ-კუთხი საყენი ოთხას თუმანად დაუფასებია და ისე ამგვარად.

ბასი ჩამოვირდა იმაზე სამართლიანობა და რიგი იქნება ჩვენი მხრითაო რომ მებატონეთ გამოავრთვათ ისეთი ადგილები, რომელიც გზის ვასაყვანად არ გვეჭირებოა, თუ არაო. ზოგი ამტკიცებდა, ამ გვარ ადგილებს მებატონეთ არ უნდა ჩამოვირთვათ მამულიო, ზოგი კი—უნდაო, რადგან უამისოდ ქალაქს იმდენი ფული არა აქვს, რომ თავის ხარჯით გააგანიეროს სიონის ქუჩაო.

რჩევამ გადაწყვიტა—მიიღოს გამგეობის წინადადება, ესე იგი მთელი კვარტალის ექსპროპრიაციის (შალაქის მესყიდვის) უფლების მიცემა ვიშუამდგომლოთ უმაღლესის მთავრობის წინაშეო.

სხდომა 11 1/2 საათზე გათავდა.

დღიური

შუშინდელის ნომრიდან ჩვენ დავიწყეთ ჩვენი პატივცემულის ისტორიკოსის **ბ. დ. ზ.** ბაქრაძის ისტორიულ წერილების ბეჭდვა. ძვირად ერთი ხან ორი სტატია დაიბეჭდებოდა ასე, რომ წლის განმავლობაში შესდგებოდა მთელი შემოკლებული ისტორია საქართველოსი.

თუ წარმოვიგნოთ-რა მნიშვნელობა აქვს ჩვენი თანამედროვე თაობისათვის სამშობლო ისტორიის შესწავლა და რა ცოტა მასალები გვაქვს ჩვენ ამ ქამად შესწავლისათვის, ადვილად მივხვდებით, რომ **ბ. დ. ზ.** ბაქრაძის შრომა, ძვირფასს განძს შეადგენს ჩვენის ლიტერატურისათვის.

დღეს, ოთხშაბათ საღამოს, საზოგადოებრივ თეატრში დანიშნულია პირველი წარმოდგენა **თ. დ. მ.** პრისთისაგან ჩინებრლად გადმოკეთებულის სარდუს, პიენისა „სამშობლო“ („La patrie“). მშვენიერ შინაარსს გარდა, პიენა სცენიკურია ღირსებით მიიზიდავს, უეჭველია, საზოგადოების ყურადღებას. მომქმედი პირები ძველს ქართულს და სპარსულ ტანისამოსში იქნებიან, ერთი დეკორაცია წარმოადგენს, სხვათა შორის, ძველს მეტებს და მაშინდელ შალაქის სახეს. ბევრი ეჭვქვეშაა საესე სხვა სურათები და ადგილები ამ პიენაში. რეჟისორობს ამ საქმეში კარგად გამოცდილი **თ. მ. პ.** ბებუთოვი. ასე რომ თითქმის წინ-

დაწინვე შეგვიძლია ვთქვათ, რომ სამშობლოს წარმოდგენა დიდ შთაბეჭდილებას მოახდენს საზოგადოებაზე.

ბაქსის ფორტის გამგეობა გვაცნობებს, რომ მთებში ამ ქამად ამინდი ცოტა დაწყნარდაო, პარხილის გზისხნა და ფოჩხა გადმოააქვთო. (მ. მ. თლაც, გუშინ ჩვენ მივიღეთ ორი ფოჩხა რურთიდან.)

შოთი-მთილისის რეინის გზიდან იწვრებიან, რომ 16 ამთვეს გასულ მატარებელი შორის სტანციადამ და რურთებულა, რადგან თოვლს ვერ გაატანათ, და შრაკლისა და შაპს სტანციებს შუა გაჩერებულა.

დუშეთის მაზრის სოფ. ახალგორში ეს სამი წელიწადია ადგილობრივ მღვდლისაგან გამართული იყო სარველო სკოლა, რომელშიაც 40 შვირი დაიარებოდა და მუქთად სწავლობდნენ. წერა-კითხვის საზოგადოებამ კარტები და სხვა დასხვა სასწავლო მასალები გაუგზავნა ამ სკოლა და შემწეობა მისცა ქველ-მომხმედ მღვდელს. სოფელი ძლიერ კმაყოფილი და მადლიერი იყო მღვდელსა და სკოლასიც.

ახლა ჩვენ შევიტყუთ, რომ გავლილ აგვისტოში ამ სოფელში ჩასულა დუშეთის ახლად დანიშნული მომრიგებელი შუამავალი (მაროვო) პოსრენიკი **თ. ჩოლაყაშვილი**, გასწყობია მღვდელს, რომ შენ მუქთა სწავლის მიღებას აჩვევ გლენებლათ და უბრძანებია სკოლის დაკეტა.


მღვდელსაც აუღია და დაუკეტია. ეს ისეთი საყურადღებო საქმეა, რომ ჩვენ ამაზე ცალკე და უფრო დაწვრილებით მოვილაპარაკებთ.

მაზეთი „ბაქოს ცნობანი“ გვაცნობებს, რომ რადგან მომავალში დიდ ძალ ნავთის გასაღებას მოელონო ამის გამო ახლაც გაძვირდა ბაქოს ნავთიო ასე, რომ ამ ქამად ადგილობრივ ფუთი მაურად და ზოგჯერ ექსკავიკადაც ისყიდებოა.

პირუტყვთა დამცველ მთილის საზოგადოება გვთხოვს გამოვაცხადოთ რომ დღეს 20 იანვარს ბაქსის ს მეურნეო საზოგადოების ზალაში, ს ღამოს 7 1/2 საათზე იქნება საზოგადოებრივი კრება, რომელზედაც შემდეგ საგნებზე მოილაპარაკებენ:

- 1) სია კითხვებისა პირუტყვთა დამცველი საზოგადოებათა კრებისათვის მოსკოვში;
- 2) რა ღონის-ძიებით შეიძლება საქონლის ჭირის მოსპობა.
- 3) ბ. მესჩერსკი განმარტებს მთავრობისაგან გამოცემულ კანონებს შესახებ პირუტყვების დაცვისა.

ჩვენ გვთხოვენ ვაგნთში დავბეჭდოთ შემდეგი ანგარიში შემოსავლ ხარჯისა იმ იოლკისა და მასკარად ბალისა, რომელიც იყო გამართული ამ წლის 4 იანვარს შორის პრუტოვიში ადგილობრივ ოთხ კლასიან სამოქალაქო სასწავლებლის ღარიბ შვირ-



დების შემწეობის საზოგადოების კო-
მიტეტისაგან:

„შემოსავალი მიღებულია
კნიაჟნა ნ. ჯავახიასა და
მლღა აბაშიძისაგან ბილე-
თების გაყიდვასა: 113—70

მაღბატონ ნ. მერაბოვი-
საგან 66—

პრუჟოკში გაყიდულ ბი-
ლეთებისაგან 110—

სულ . . . 289—80

ხარჯი : მიეცა კან-
დიტერს შრიდერს იოლ-
კის შესაბამებლზე კანფე-
ტებში, ხილში, იოლკის
სამთლებში და სხვ. 27—40

სახანძრებს 15—

მოსამსახურეებს 4—

იოლკა, ბილეთების გაგ-
ზაგა და სხვ. წერილობრი
ხარჯები 9—45

სულ . . . 55—85

„ღარი ხარჯის გარედა და შემო-
ვლა შემოსხნებულ საზოგადოების
კასაში—233 მან. 85 კაპ.

„ამასთანავე შემოსხნებული საზო-
გადოების კომიტეტი უცხადებს გული-
თად მადლობას: კნიაჟნებს ნ. ჯავა-
ხიასსა და მლღა აბაშიძისა, ქალბ.
ნ. მერაბოვისას ბილეთების გაყიდვა-
ში შემწეობისათვის, ბარის საზოგა-
დოების პრუჟოკს—გაჩაღებულ სახ-
ლისა და პოლკის მუზიკის უფასოდ
დათმობისათვის.

თავსმკვდარმა გენერალმა გუგუბითი
კომიტეტისათ. ა. ჯავახიასი.

რუსეთი

(გაზეთიდან)

მლღაში დაუჭერიათ ყალბი სამ-
მანეთიანი ბილეთების გამსაღებელი
ვილაც პისარევსკი.

რუსულ გაზ. „ახალ აპებში“ სწე-
რია, რომ რამდენიმე წიგნის ვაჭართ
და გამომცემლთ განუზრახავთ შეად-
გინონ „რუსეთის საზოგადოება წიგ-
ნის ვაჭრებისა და გამომცემლთა“. ამ
წიგნს მიზნად ექნება გაავრცელოს
როგორც წიგნების ვაჭრობა და გა-
მომცემლთ მოქმედება, ისე ყოველი-
ვე წარმოება, რაც კი ბეჭდვას შეეხე-
ბა. დამარსებლთა სიაში ერთი ჩე-
ნი კაცის სახელიც არის მოხსენებუ-
ლი—ძ. შიჭინაძისი.

ამ მოკლე დროში გარდახედება
წესდება რუსეთის განაპირ მხარეების
მოსამსახურე პირთა უფლებებისა.

ამ რამდენიმე ხნის წინადა გავრცელ-
და ხმა, რომ მმართველობას განზრახ-
ვა აქვსო, ვითომც იქვე გაიფარს
რკინის გზით მოგზაურების გარდასა-
ხადი, რომელიც გასული ომიანობის
შემდეგ გაძვირდა რამდენიმედ. ეს
ხმა უსაფუძვლო გამოდგა: გარდასახ-
დი ისევე ის დარჩება, რამდენიც ომიან-
ობის აქეთ დაწესდა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს გარ-
დაუწყვეტია ცვლილება მოახდინოს
სამხრო პოლიციების მმართველობა-
ში. აღსრულება ამ გარდაწყვეტილე-
ბის მდგომარე წლის ნახევრიდამ
დაიწყება.

შინაგან სამინისტროს გარდაუ-
წყვეტია აუქციონით გაყიდვა იმ რე-
ნის გზებისა, რომელიც დიდს ვალ-
ში ჩაეარდნილან.

მართული ისტორია *)

ქვეყანს აქამომდე სხვა-და-სხვა ტომ-
ნი სხვა-და-სხვა სახელს მისთვისებენ.
იმას უწოდებენ—თურქნი ძაფ-თაგად,
სპარსნი იალბუზად, ქართველნი იალ-
ბუზის-მთად. შიქანსკენელი თვით ქვე-
ყანადაც სახელ-სდებენ. ძლაპროტის
აზრით ძაფი უდრის ძველს მიდიურს
სიტყვას ძაფსს, ძასს და თვით სახელ-
წოდება ძასპის ზღვისა და ძასპილე-
ბისა ამ მთილამ არის წარმომდგარი,
რადგანაც სტრაბონის სიტყვით, ქვე-
ყანელინი ქვეყანს ძასპის მთად უწოდ-
დნენო. ზოგნი ქვეყანს ეძებენ არიე-
ლების უპირველეს საცხოვრებელში,
საილამაც მრავალი გეოგრაფიული სა-
ხელ-წოდება გავრცელებულა სხვა-
და-სხვა ქვეყნებში. ზემო აზიაში ძვე-
ლად ქვეყანად თურმე უწოდდნენ იმ
თოვლით დაბურულს მთა-ადგილს,
რომელიც მდებარებს სამხრეთად ში-
მალიასა, ბაქტიანსა და არიანს შო-
რის. მივიანე სენ-მარტენის აზრით,
იქ, სადაც ინდუსს აქვს სათავე, ცხოვ-
რობდა და ცხოვრობს გავრცელებუ-
ლი ტომი ჰაზ-პანნი. იმათ მთებს სანს-
კიტნი უწოდდნენ ჰაზ-პანს (პანს
სანსკიტული მთა, ქართული გორა);
ესა სიტყვა მიღო-სპარსულს ენაზე გა-
დაქვეყნდა ძაფ-ძაზად, რადგანაც ამ
ენაზე კოხი მთასვე ჰნიშნავს. მისგან
არის მოტანილი ჩვენში სახელ-წოდე-
ბა ქვეყანი, აი ამაზე რას ამბობს იგი-
ვე სენ-მარტენი: „ძველის თქმულე-
ბით ჩრდილოეთად ქვეყანისა და გა-
რემემო აზოვის ზღვისა მკვიდრობ-
დნენ შიმპერიელნი, რომელიც ამ
ადგილიდამ შეუძრავთ და განუდევ-
ნიათ ჰეროდოტის ცნობით, რომელიც
ცხოვრობდა მე-VII საუკ. გასულს,
მთათავე მოსახლერე სკვითთა. ამას-
თანავე სკვითნი დაჰსხმიან ირანის
ტომს მიდიაში და აქედამ იმათ გა-
დაუსახლებიათ ჩრდილოეთად ქვეყ-
ანისა მიდიის მცხოვრებნი, რომელიც
მართლის - ცხოვრებაში ცნობილნი
არიან ოსებად, უცხო-ტომთ მწერალ-
თაგან კი აწებად. მართლა და მი-
დიური მომდინარეობა ოსებისა უეჭ-
ველი ფაქტია, იმათი ენა ირანული
ენაა; ისინი აქამომდე თვით თავის
ტომს ირონებად ჰხადიან. აზიებად
სახელწოდებდნენ იგინი იმ ჰაზ-
პანების სახელით, რომელიც ინ-
დოეთში ცხოვრობდნენ და ეჭვი არ
უნდა გვექონდეს, რომ იმათგან არის
პირველად სახელ-წოდებული ქვეყანის
ჩრდილოეთი მხარე აზიად და თვით

უმთავრესი ზურგი ქვეყანისა ქვე-
ყანად.

სულ ძველად ძალდო-პასირიელ-
ნი, მეგიპტელინი და ჩინიკიელინი,
შემდეგ მიღო-სპარსნი და ბერძენნი
ჰხადიდნენ ქვეყანა სიმლიდრის წყა-
როდ. ჩინიკიელინი, რომელიც თავ-
დაპირველად ყველაზე მეტად გან-
ვითარდნენ ალბ-მიცემობაში, მე-
XVII—XIV საუკ. ძრისტეს წინ, გან-
ვითარებულის ახლოს ისტორიკოსის
ლენორმანის სიტყვით გახდელით ცუ-
რადდნენ უბრალო ნაგებით შფო-
თიანსა და შფუწნარებელს შავს ზღე-
ში. ისინი მოგზაურობდნენ ნაპირ-
ნაპირ, ალბ-მიცემობდნენ ალგი-
ლობრივთ მცხოვრებთა შორის და
შედიოდნენ ძოლხიდაში, საილამაც
ბრუნდებოდნენ, დატირთულნი მად-
ნეულობით. ეს მადნეულობა იყო:
ოქრო, რომელსაც ძოლხიდელინი პოუ-
ლობდნენ თავიანთ მდინარე წყლებ-
ში და რომელიც ქარვანებს შემოჰ-
ქონდათ იქ შრალის მთილამ და არი-
მასის ქვეყნიდამ; კალა, რომელიც
საჭირო იყო თიბრის შესამუშავებ-
ლად და რომელსაც იბერნი და ალ-
ბანელინი სთხრიდნენ ქვეყანის თებ-
ში; ტყვია და ვერცხლი, რომელიც
აღმოიპოვებოდა იმავე მხარის სხვა
ადგილებში; ხელ-ნაქარი ლითონე-
ბი, რომელთაც სჭედდნენ ხალიბნ
თავიანთ მთებში და რომელიც სა-
ხელ - განთქმულნი იყენენ მთელს
ქვეყნის პირზე.

ჩინიკელებს თავიანთი საეპროები
შეჰქონდათ მეგიპტეში და ძალდო-
პასირიაში. მთელ მეგიპტეში მოშორე-
ბით იმყოფებოდა ქვეყანაზე და ამის-
თვის იმისი დამოკიდებულება ჩვენ
მხარესთან უფრო სუსტი იყო, ვიდრე
ძალდო-პასირიისა. მრთი ღირს-სახ-
სოფარი ფაქტი, მეგიპტელთაგან და-
ტოებული, არის შემდეგი, რომელიც
გადმოგვცა ჰეროდოტმა მე-V საუკ.
ძრისტეს წინად. მეგიპტის განთქმუ-
ლი მეფე სეზოსტრისი, ახლა ცნობი-
ლი რამზეს მეორედ (მეფობდა მე-XIV
საუკ.), აზიისა და მეროპის დაპყრო-
ბის შემდეგ მისდგომია ქაზის მდინა-
რეს და აქ დაუსახლებია თავისი კო-
ლონია. „მე გამოეკითხეო, ამაზე ამ-
ბობს ჰეროდოტი, ძოლხიდელებსაც
და მეგიპტელებსაც და პირველნიც და
უკანასკნელნიც (რთის აზრისანი არიან-
ნო. მეგიპტელინი იტყვიანო, რომ
ძოლხიდელინი შეადგენენო ნაწილს
სეზოსტრისის მხედრობისას. ამას ჰმოწ-
მობსო იმათივე მოშავო ფერი, ხუ-
ტუტი თმა და წინა-დაცვეთა, რომე-
ლიც ჩვეულებად აქეთო ორსავე ტომს
და რომელიც ძოლხიდელებისაგან
მიუთვისებიათო თვით იმათ მეზობ-
ლებს მაკროებს. ბარდა ამისა მე-
გიპტელინი და ძოლხიანი ერთ-ნაირად
მისდევნო სელის შემუშავებას და
თვით ყოფა-ცხოვრება და ენა ორი-
სავე ტომისა ერთი-და-იგივეა“. ეს
გარდამოცემა ჰეროდოტისა ანუ ზლა-
პარ-თქმულება მიუღიათ ნამდვილ
შემთხვევად შემდეგის საუკუნოების

მწერლებს და ამ გუჯრუტეულნი
ბულა ჩვენ დრომდე.

ძალდო-პასირიის დამოკიდებულე-
ბა ჩვენ მხარესთან უფრო ხშირი ყო-
ფილა. იმათი შარა გზები ბიბლიონი-
დამ მიემართებოდა-ერთი მიდიის ქა-
ლაქისკენ მკბატანისკენ, და შემდეგ
ძასპის პირის შესავლით პირკანის-
კენ; მეორე-მესასპოტამიით მჭრატზე
და ძილიკით ძაპადოკაში. მჭრატი
იყო ბუნებითი გზა, რომლითაც ძალ-
დო-პასირიის მოვაჭრენი ალბ-მიცე-
მობდნენ არმენიაში და ქვეყანაში.
საზოგადო ხსენებულ გზებზე აქა-იქ
გამართული იყო ქარვანსოები საეპ-
როს დასაწყობად, მჭრატზე საეპროე-
ბი გაჰქონდათ და შემოჰქონდათ ნაე-
ტიკებით, რომელიც ახლაც იხმარე-
ბიან ტიგრის მდინარეზე. ამ გზით
ძალდო-პასირიაში შედიოდა არმე-
ნიილამ ღვინო, ჩვენის მხრიდამ სხვა-
და-სხვა მადნეულობა და აგრეთვე
ყმაწვილინი ქალ-ფაქნი, რომელიც სი-
ტურფს გამო დიდად ფასობდნენ. ეს
ჩვეულება შემდეგშიაც არ მოკვეთილა.
„მთელ ჩემს დროსაც, ამბობს ჰერო-
დოტი, ძოლხიდელთ და მათ მოსახ-
ლერე მცხოვრებთ ხარკად ეღობო,
რომ ყოველს ხუთ წელიწადს ას-ასი
ვაჭი და ქალწული ქალი ეძლიათო
სპარსეთისათვის“. ლურსმებრივი მწერ-
ლობა ჰმოწმობს, რომ იშვიათი არ
ყოფილა ძალდო-პასირიელებთანგან
გალაშქრება შარატში ანუ ახლან-
დელს არმენიაში, ილოობში (ძობა-
ნია ანუ ლატსანი) და ტუბალ-მოს-
ხეთში. მე-XII საუკ. ძრისტეს წინად
მეფემ თილათ შალასარ I-მა ორ-
ჯელ თურმე სძლია მოსხებას და იმათ
ხუთ მეფეს, რომელთაც სჭერიათ
უმეტესი ნაწილი ძაპადოკიისა და
პონტისა. როგორც სჩანს, მოსხეთის
აღმოსავლეთად ტიბარენებს ჰქონიათ
გრცელი სამფლობელო, რადგანაც
სალმანასარ მე-II-ს წარწერით, ჩემის
მეფობის ოც-და-მეორე წელს მე ოც-
და-ერთხელ გავდიო მჭრატს გაღმა,
შევედიო ტაბალის ქვეყანაში და ოც-
და-ერთხ მეფეს ამ ქვეყნისას ხარკი
დაედიო.

„ამტკიცებენ, ვითომც მიდიის მე-
ფეს პისკარს (635—595 წ.) მჭრა-
ტის სათავეებიდამ მიერეკოს პონტისა
და ქვეყანის მხარეში ის ნაწილი ქარ-
თველი ტომისა, რომელიც იქ თურ-
მე მკვიდრობდა და იმათ ადგილში
დაესახლებინოს ჩრიგიელი ტომი ჰაი-
ვანელი და ირანელი ტომი ძატა-
ტუკა. იმის დროსვე სკვითნი, მართ-
ლის ცხოვრების ხაზარნი, ქვეყანისა
და ძასპის ზღვის ჩრდილოეთად მცხოვ-
რებნი, ქვეყანით დაჰსხმიან მიდიას,
სადაც უმფლობელინი და უმძლიერ-
ნიით 28 წელიწადი. სპარსეთის მეფეს
პიროსს (559—529 წ.) დაუმონავე-
ბია ალბანელინი და იბერნი, ძოლხი-
დელინი და მაკრონი, ხალიბნი და
ტიბარენნი, რომელიც იმის შემდე-
გაც სპარსეთის მფლობელობაში დაშ-
თენილან. მეფეს ღარიოსს (522—506
წ.) მთელს თავის გრცელს იმპერიაში
ახალი სახელმწიფო წესი დაუწყებია

*) ის. „დროება“ № 12.

და სასატრაპოები ანუ ჩვენებურად საერისთავოები დაუარსებია; იმათ შორის მეთერთმეტე სასატრაპოს შეადგენდა არაქსა და ძველად შუამდებარე იბერია და ალბანია, რომელთაც ხარკად სდებიათ 200 ტილანტი; მეცხრამეტე სასატრაპოც ყოფილა პონტი და იმისნი მცხოვრებნი მოშიანნი, ტიბარენნი, მაკრონი და მოსინენი; იმათი ხარკი ყოფილა 300 ტილანტი.

ზემოხსენებულთ ტომთ შემდეგ აყვავდა მლონიელი ტომი. მთელი შავი ზღვის პირი და უმეტესი ნაწილი ხმელთა-შუა ზღვის კიდის მლონიების კალონიებით მოიფინა. იმათ შორის ყველაზე მეტად განვითარდნენ ჭოგვა და მილეტი. მილეტი მდებარებდა კარის დასავლეთით, ლატაკის ნავთ-საყუდლის მახლობლად. მილეტში დამყარდა ბინა მლონიების წარმცხვებისა. მილეტმა გაიჩინა მრავალი ცხვრის ფარები და თავისი მშვენიერი ხალხები დაქსოვილები მთელს მაშინდელს ხმელეთზე გაავრცელა. მილეტი აღებ-მიცემობდა ერთის მხრით აზიის შუა-გულამდე, მეორის მხრით შაბრალტარის ბოდაზამდე. შთავრესი ასპარეზი იმის ვაჭრობისა იყო შავის ზღვის პირი, სადაც იმან მოჰფინა საკუთარი კოლონიები, ერთი მეორესთან დაკავშირებული. იმათ შორის მლობია მდებარებდა მდებარისა და ბუღის შესართავში და სცელიდა სკვითების მდიდარ სამკალებს საბერძნეთის ლინოს და ნაყოფს; ტანისი იყო გაშენებული მონის შესართავში, იქ, სადაც სიმბირის ქარვანები იკრიფებოდნენ. ტანისის ვაჭრობა იყო სიმბირის ბეწვეულობა, ინდოეთის ფარჩეულობა და სუნენლ-სუნენლობა. ჭანავორია იყო დაფუძნებული შუბანის შესართავში და იმისი ნავთ-სადგური დასცქეროდა პონტს და ბოსფორს ძიმმერისას. აქ იკრიბებოდნენ აზიელნი ბოსფორელნი, მეოტნი და ჩრდილო-ძველადი ტომნი. შემდეგ ტანისმა და ჭანავორიამ თავის მეტროპოლიად ანუ დედაქალაქად აღიარეს პანტიკაეა. ტორიკოსი და ბატა მდებარებდნენ ბელენჯიკისა და სუტუკ-ყალეს ყურეზე. დიოსკურია იყო გაშენებული აფხაზეთის შუა-გულში. დიოსკურიას შეჰქონდა ძველად მთიულეთში პანტიკაეის მარლი და ნაცვლად ძველადამ გამოჰქონდა ტყევი და სხვა იმისი ნაწარმობები. ჭაზი ანუ შემდეგ შოთი შეადგენდა სავაჭრო ქალაქს პოლხიდისას, რომელსაც ვაჰქონდა სილი, კანაფი, წმინდა სანთელი, ფასი, ტილო, ხე-ტყე და თაფლი.

დომ. ბაქრაძე.

გალითებ; თაფებისა, რეკლეურების, კლიტებისა, ჭურჭლებისა, კრავატებისა, დანებისა, ვოკებისა, ჩინიებისა, შოკლადისა, კაკასისა, ღუბებისა, სანონისა, შოკ კებისა, ცხვრ-სახრისა, ქალაქისა, კანანდაშებისა, გაღმებისა, უნგრებისა, სუკრისისა (გემრიელი ვლეშინი ზეთისა) და სხვ. სააგენტო მაკინტოშის მოსახურავებს გასასყიდლად კანფეტების და ბატონების და კამპ. მურაბისა, აგრეთვე ჩუქებისა და წინდებისა ნოტინგამიადამ. ხამდელი ჭაჭანს სიგარებისა. (100—65)

ინგლისის მაღაზიაში ახლად მიღებულია დიდ ძალი ჩაი პირველი მოკრეფისა 30% უკეთესი, ვიდრე სხვაგან. იქვე იქილდება: ზარესისა 40 კაპ. დაწყებული; სტაქნები, ბაკლები 10 კაპ.—დამ; პალნოსები 5 კ.—დამ, მურაბა და ალბომები ნახევარ ფასად და სხვ. (100—58)

ი. მურადოვის წიგნის მაღაზიაში ქუთაისში მუდამ არის დამზადებული საკმაოდ ყოველ გვარი სასწავლო წიგნები, რომელნიც კი მოეზოხებოდ საგაქო და საქალბო გიმნაზიებში, სახალხო

და სამოქალაქო სკოლებში მოსწავლეთა. არის აგრეთვე დიდ-ძალი სა-მოსწავლო და სკოლაში სახმარო ნივთები და მოთხოვნილებისა და-გვარად დახაზული რვეულები, ასი-5 მანეთი., მუზიკალური ნოტები, სხე და სხვა საწერი ნივთები და მა-სალები უფრო იაფ ფასად, ვიდრე სხვაგან.

ძალაქს გარეშე მცხოვრებთა მოთხოვნილებას მაღაზია დაუყოვნებლივ ასარულებს და გამოგზავნის პირველივე წამომავალი ფოშტითა. (50—43)

ინგლისის მაღაზიაში

თოსლან-სურენი



მამ-მან-ტერი

ამგრებს თმას და ადრინდელ ფეხს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ. აქვე ისყიდება ქინის ზომად თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სწოტკები თავის ტკვიელის მოსასპობლად, ცუკ-ჯეტის საშინი, დუხები და სხვ (100—79)

სЪ 1-го ЯНВАРЯ 1881 ГОДА

ГАЗЕТА

КАВКАЗЪ

ВЫХОДИТЬ ПОДЪ НОВОЙ РЕДАКЦІЕЙ

ежедневно, не исключая понедѣльниковъ, въ количествѣ 345 №№ въ годъ.

Редакція приметъ всѣ зависящія съ ея стороны мѣры, чтобы придать газетѣ возможно большій интересъ, какъ расширеніемъ программы, такъ и полнотою отдѣловъ, причемъ преимущественное вниманіе будетъ обращено на разработку мѣстныхъ вопросовъ.

ПРОГРАММА:

Часть официальная: Указанія, дѣйствія и распоряженія правительства, Высочайшіе приказы, приказы Намѣстника, циркуляры Намѣстника и Главнаго Управленія, извѣщенія, разнаго рода правительственныя и служебныя распоряженія.

Часть неофициальная: I. Руководящія статьи: по вопросамъ, имѣющимъ обще-государственное или мѣстное значеніе. Ознакомленіе съ внѣшними политическими событіями преимущественно въ восточныхъ государствахъ, сопредѣльныхъ съ Кавказомъ.

II. Мѣстныя извѣстія: а) Корреспонденціи изъ главнѣйшихъ пунктовъ края. б) Столичная и иностранная пресса о Кавказѣ. в) Туземная пресса: армянская, грузинская, татарская. г) Ходъ городского самоуправления д) Новости о событіяхъ русской жизни. е) Тифлисская городская хроника, ж) Судебная хроника. з) Отчеты о засѣданіяхъ мѣстныхъ ученыхъ и другихъ обществъ.

III. Фельетонъ: а) Этнографическія статьи, бытовые очерки и путешествія по Кавказу. б) Рецензіи на книги, выходящія въ Россіи и за границей, касающіяся Кавказа. в) Обзорнѣ общественной жизни. г) Научное обзорнѣ.

IV. Смѣсь. Курьезы, анекдоты и разныя извѣстія.

V. Справочный отдѣлъ.

VI. Казенныя и частныя объявленія

Условія подписки:	Съ доставкою въ Тифлисъ.		Съ пересыл. иногородн.	
	Руб.	Коп.	Руб.	Коп.
На годъ	11	50	13	—
На полгода	6	—	7	—
На три мѣсяца	3	50	4	—
На одинъ мѣсяць	1	50	1	75

Подписка принимается въ г. Тифлисъ, въ конторѣ газеты „Кавказъ“, на дворцовой улицѣ, въ домѣ № 5. Иногородные адресуютъ свои требованія: въ Тифлисъ, въ редакцію газеты „Кавказъ“.

Разсрочка платежа подписныхъ денегъ допускается на слѣдующихъ условіяхъ; для городскихъ подписчиковъ: при подпискѣ 5 р., въ концѣ марта 4 рубля и къ 1-му августа 3 руб. Для иногородныхъ: при подпискѣ 6 р., 1-го апрѣля 5 р., 1-го августа 3 р. (3—1)

დაიბეჭდა და ისყიდება შ. ჩარ-კვიანის ქართულ-საწიგნო-ბაზარში

საერთო მულაბელობაზე
ოსზულებს
ანტონ შურცელაძისა
გამოცემული
ზაქარ ჭიჭინაძისაგან.
შასი თითო წიგნისა ერთი აბაზი

დაიბეჭდა, გამოვიდა და ისყიდება
მთილისის წიგნის მაღაზიებში
იზაპ-არაქანი
ქრილოვისაგან და სიმბრძენ-სიცრუიდ-გან გალექსილი თ. რ. ერისთვისა.
(3—2)

ბრიტუროვის წიგნის მაღაზიაში (ბა-ლის პირ-და-პირ) და ბ-ნი იონანი-სიანთან (ოკრუტის სუდის ქვემოთ) ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოების გამოცემა:
წითელი ფარასი, ფასი 15 კ.
ხატურა — — — 10 კ.

ОВЪ ИЗДАНИИ
Въ 1882 году Въ г. Тифлисъ ежеме-
дѣльнаго юридическаго журнала
„ЮРИДИЧЕСКОЕ ОБОЗРѢНІЕ“
(годъ второй)

Журналъ, какъ и въ 1881 году будетъ выходить по четвергамъ, въ размѣрѣ до 2 печатныхъ листовъ текста, кромѣ приложений, по прежней программѣ, въ объемъ которой входятъ статьи по всѣмъ вопросамъ, вытекающимъ изъ теории и практики права и судопроизводства, перечень, изложеніе и об-сужденіе важнѣйшихъ распоряженій и узаконеній правительства, краткіе отчеты (а въ случаяхъ важныхъ, и стенографическіе) о выдающихся суде-бныхъ дѣлахъ, особенно интересныя гражданскія рѣшенія, случаи изъ судебной жизни и практики (смѣсь) корреспонденціи юридическаго содер-жанія, городская хроника, перечень новыхъ книгъ юридическаго содержанія и обзоръ печати, тезисы касационныхъ рѣшеній: Правительствующаго Синода и Тифлисской Судебной Палаты, суде-бный указатель и пр.

Заботясь о посильномъ выполненіи своей программы, журналъ заручился сотрудничествомъ, сверхъ многихъ лицъ судебного вѣдомства, также и нѣкоторыхъ профессоровъ-юристовъ.

Редакція журнала-Тифлисъ Ново-Бebutovская ул. д. № 6.- Админис-
трація (для приема подписки, объявл-
еній и розничной продажи)- Тифлисъ,
Сололакская ул. д. № 10- Подписная
цѣна на журналъ, съ доставкою и пере-
сылкою, на годъ-10 р., на 9 мѣс.-8 р.
20 к., на 6 мѣс.-6 р. на 3 мѣс. 3 р.
20 к., на 1 мѣс. 1 р. 20 к., Разсрочка
въ платежѣ денегъ-по соглашенію съ
администраціею журнала. Подписатся
можно съ 1-го числа каждаго мѣсяца,
и не далѣе конца года. Отдѣльныя
нумера по 25 к. Объявленія, казенныя
и частныя, по такѣ за занимаемое
мѣсто. Иногородныхъ просятъ обраца-
тъся исключительно въ Администрацію
журнала.-
Редакторъ А. В. Степановъ
Издатель А. С. Френкель
Присяжный Повѣренный
(3—3)